სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ცხრამეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი იპეტრიწის ქუჩა № 16 მომმართა ჯურბა კუჭაშვილმა. მან განაცხადა, რომ არის შპს „კამკაში"-ის (ს/კ №404899749) დირექტორი და სურს დავით გოქსაძის მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად ჯურბა კუჭაშვილმა (დაბ.24.02.1976 წელს, საჩხერე, პირადი # 38001006329, მისამართი: საჩხერეს მუნიციპალიტეტი, ქალაქი საჩხერე, სიმონ შათაშვილის ქუჩა, N 6) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ჯურბა კუჭაშვილი, როგორც შპს „კამკაში"-ის (ს/კ #404899749) დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ დავით გოქსაძეს (დაბ.19.02.1978წელს, პირადი # 01026001517) შემდგომში – "მინდობილ პირს": მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი შპს „კამკაში"-ის (ს/კ #404899749) კუთვნილ ნებისმიერ სახის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, ყველა საჯარო ინსტანციაში, გამგეობაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საამზომველო ფირმებში, ზედამხედველობის სამსახურში, თვითმმართველობის ორგანოებში, მერიის არქიტექტურულ სამსახურში, რათა მიიღოს უძრავი ქონების მშენებლობის/ექსპლუატაციაში ჩაშვების ნებართვა, შეათანხმოს პროექტი, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს ჩემი ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს/შეიტანოს/გამოიტანოს სამშენებლო პროექტი, მოახდინოს ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან, ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი სს „თელასი"-ში, წყალკანალში, ენერგო პრო ჯორჯიაში, კომპანია შპს „ყაზტრანსგაზი"-ში, შპს „სოკარ გაზის „ ნებისმიერ ფილიალში, თბილისის წყალკანალში და სხვა ნებისმიერ საკომუნიკაციო ორგანიზაციაში. ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, და სხვა დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია 2021 წლის დეკემბრამდე, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის: შპს „კამკაში"-ის (ს/კ #404899749) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე - 10 (ათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ჯურბა კუჭაშვილი

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

673765831508 20

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200843055

რეგისტრაციის თარიღი

19.10.2020 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლ
და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა
პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995
66 19 18